ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2020851

ნომერი: AR1326333

თარიღი : 13.07.2015

გაცემის თარიღი : 20.07.2015

გაცნობის თარიღი : 20.07.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თიანეთი , N 95 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- უჩეჩუკვუ უვაკვე პ/ნ 01024070186
- ყაზბეგის 34. ბ. 3

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1326333 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.12.03.033.019) გამოჯვნასა და შემდგომ სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ „საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთები სამშენებლო საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით იყოფა სამშენებლო მიწის ნაკვეთად, სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთად და სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთად. ასევე ქ. თბილისის საკრებულოს ,,ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში არსებული ის ცალკეული მიწის ნაკვეთები, შენობები და ნაგებობები, რომელთა ამ წესის მოთხოვნებთან შეუსაბამობა განპირობებულია გარემოებებით (მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაცია, ხაზოვანი ზომები, ნარგავების არსებობა და ა.შ.), იძენენ ,,შეუსაბამო“ უძრავი ობიექტის იურიდიულ სტატუსს.
თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის გამოჯვნის შედეგად წარმოიქმნება, ფართობის სიმცირით და კონფიგურაციით სამშენებლოდ „შეუსაბამო“ მიწის ნაკვეთი, რომელიც არ იძლევა სრულყოფილი დამოუკიდებელი ობიექტის განთავსების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება განაშენიანების წესების მოთხოვნასთან შეუსაბამო უძრავი ობიექტი, რაც ეწინააღმდეგება თბილისის ქალაქგანვითარების პრინციპებს, ზღუდავს ნაკვეთების ეფექტურ სამშენებლო გამოყენების შესაძლებლობას, ნაკვეთების სიგანე მათზე შენობათა განთავსებისას, უნდა იძლეოდეს სამეზობლო მიჯნებისა და სახანძრო უსაფრთხოების დაცვის შესაძლებლობას. გამოყენებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა და გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა მიწის ნაკვეთის გამოჯვნასა და შემდგომ სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.